ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №ნ-3
2024 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

„ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის იძულებითი აღსრულების წესისა და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 28 ოქტომბრის №ნ-12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის იძულებითი აღსრულების წესისა და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 28 ოქტომბრის №ნ-12 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 29/10/2020 წ., 070010040.64.076.016083) დამტკიცებულ ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის იძულებითი აღსრულების წესში (დანართი №1) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სააღსრულებო ფურცელი არის სამსახურის უფროსის (უფლებამოსილი პირის) მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლის საშუალებით ხდება ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ სამსახურის უფროსის (უფლებამოსილი პირის) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის იძულებითი აღსრულება.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კანონით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებულ სააღსრულებო ფურცელს ხელს აწერს სამსახურის უფროსი (უფლებამოსილი პირი).“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსი **დავით მჭედლიძე**